— ჩვენს ადგილას ნებისმიერი ისწავლიდა ჭკუას და დასკვნებსაც გამოიტანდა. 2009 წელს მედევედემ, სამხლერო აგრესიის ინიციატივა, საკუთარ თავზე აიღო. პუტინს ნამუსი მოსწმინდა და თქვა: ეს ჩემი გადაწყვეტილება იყო, რითაც საქართველოს ნატოსკენ სვლა შევაჩერეო. მან სიმართლე თქვა. დღესაც იგივეს ამბობენ. მაგრამ, მაშინ ბუქარესტის სამიტზე, რომ არა გარკვეული გარემოებები, მაპის მიღების რეალური პერსპექტივა არსებობდა. დღეს, სულ სხვა მდგომარეობაა. ნატოს 30-მდე წვერიდან, მხარს მხოლოდ, 10 თუ 11 გვიჭერს, თანაც ნატოს მორეზარისხოვანი წვერები — ესაა აღმოსავლეთ-ევროპა ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი და ბალტიისპირეთი. მაგრამ, ზვიგენებს — გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას, ინგლისს, ამის გაგონებაც არ უნდათ. თვითონ, ობამაც, ხომ ხედავთ როგორ იქცევა უკრაინასთან მიმართებაში. პუტინი ლამისაა კიევთან მივიდეს და ობამას არ უნდა უკრაინას, ელემენტარულად, ორი-სამი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა რომ მიჰყიდოს. პროშენკოს ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები რომ ჰქონოდა, მთავარი სტრატეგიული ქალქი დღეს კვლავ უკრაინელების ხელში იქნებოდა. ამიტომ, თქვენ როგორ ფიქრობთ, ობამა მხარს დაუჭერს საქართველოს ნატოში გაწვერიანებას? მაკკენი კი ითხოვდა იარაღის მიწოდებას ჩვენთვისაც და უკრაინისთვისაც, არც ჩვენ მოგვცეს და ჯერჯერობით, არც უკრაინელებს აძლევენ. მარტში, თუ მართლა რაღაც სამინელება არ მოხდა და პუტინი კიევსკენ არ წავიდა, რუსეთს სანქციებსაც მოუხსნიან და მორჩა, ამით დამთავრდება ყველაფერი. ამ დროს, ვინმე ფიქრობს, რომ იქ განიონიკებული ქართველები გადაარჩენენ უკრაინას? ეს ზღაპრებია და ამაზე საუბარი მოდით, პარლამენტს დაევუთმოთ. რომელ ზნეობაზე, მორალზეა საუბარი. თავის დროზე, გუბაზ სანიკიძისადმი დიდი სიმპატია მქონდა, მაგრამ ახლა, არ არის სწორი ამ კაცის პარლამენტში დაწინაურება. კაცი, რომელმაც დიად თქვა, ფულის გარდა არაფერი მანტერესებსო, როგორ უნდა დანიშნო თანამდებობაზე? ამის თქმას კომუნისტების დროსაც ვერ ბედავდნენ, მიითუმეტეს, ვინდა დაგაწინაურებდა. ამას მიშაც ვერ გაბედავდა. პარლამენტში უმრავლესობას უჭირს, ეშინიათ, „ეროვნული ფორუმიც“ არ გაექცეთ. ასე, შეიძლება,

უმრავლესობა საერთოდ ვეღარ შეაგროვონ. მაგრამ ნუთუ „ფორუმი“ არ მოინახა კაცი, ვინც დისკრედიტირებული არ იყო? პოლიტიკოსმა საჯაროდ თქვა, პოლიტიკის დედაც ვატირე მთავარია მილიონური გავხდეთ, მერე იმას შენ ვიცე-სპიკერად ნიშნავ, მორალური არაა. კი, მართალია ვიცე-სპიკერს კი არა სპიკერს არ ეკითხება არაფერი, მაგრამ ეს უკვე ქვეყანაში გულგატეხილობას აჩენს.

— საუბრობენ, რომ „ნაციონალები“ გაზაფხულზე არეულობისთვის ემზადებიან.

— არეულობას, ნებისმიერი ოპოზიცია გვემავს. მიმიფურთხებია იმ ოპოზიციისთვის, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის გვემა არ გააჩნია, მაგრამ გამოვიცხავ, რომ „ნაციონალები“ აჯანყებას გვემავენ.



იმიტომ, რომ ეს შევარდნაძის ხელისუფლება არაა. იქ შეიძლებოდა პარლამენტში შევარდნილიყავი, რადგან შევარდნაძეს მხარს ჩინონიკები და ძალოვანები არ უჭერდნენ. დღეს, სააკაშვილის დროსთან შედარებით, ჩინონიკთა რიცხვი გაიზარდა და თანაც მნიშვნელოვნად. იცით, რატომ? — იმიტომ, რომ ყოველი ახალი დასაქმებული ჩინონიკი ეს, მინიმუმ, 10 ხმა არჩევნებზე, შეიძლება მეტიც. როდესაც ჩინონიკების რაოდენობას ზრდი, აძლევ ხელფასს, პრემიებს, როცა პოლიცია შენია, ასევე, ჯარი, სპეცრაზმი, მაშინ პარლამენტში ვერავინ შემოვივარდება. შევარდნაძე მუფე ლირივით დარჩა. ახლა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ნელ-ნელა, სულ სხვა რაკურსში, სულ სხვა გაგებით, მეფე ლირის სტატუსისკენ ივანიშვილიც მიდის. იცით, რა გაგებით? — მას, არცერთმა კადრმა არ გაუმართლა. მეფე ლირისგან განსხვავებით, ესენი ივანიშვილს არ დალატობენ, არამედ მათ ბატონ ბიძინას არ გაუმართლეს. ვერ გამოადგა ვერც პრეზიდენტი, ვერც ალასანია, რომელზეც ამბობდა საქართველოში მას პრეზიდენტობას კი არა ნებისმიერ თანამდებობას ჩავაბარებო. ვერ გამოადგა მის მიერ ხელოვნურად დასმული ნარმანია. მერე მან ნარმანიაზე თავად თქვა, იგი თბილისურად ვერ აზროვნებს და ინერტულიაო, ეს პოლიტიკური სასიკვდილო განაჩენია. რად მინდა ინერტული მერი, ეს ხომ ზარმაცს და უსაქმურს ნიშნავს? მაშინ წავიდე და ზუგდიდის მერად დანიშნის. ხედავთ, რა ხდება მერიამში, ლამისაა ერთი წელი გავიდეს და კიდევ კონკურსებია, მისი სამსახურები დაკომპლექტებული არაა, ეი. ვინ აკეთებს საქმეს?! არცერთ სამინისტროში ქალაქის ტელეფონი აღარ ფუნქციონირებს. ჩემს და თქვენს ხარჯზე, მობილურზე სალაპარაკოდ, განუსაზღვრელი თანხა აქვთ. თქვენ კი გარე საფრთხეებზე მეკითხებით?

აფხაზი დისიდენტები ადამიანი თანადრობა



ალექსი თარია

გედის სიძეა, ანუ სამუდამო დევნილის მოგონებები და ფიქრები

ყოველთვის, როცა რუსეთზე საუბრობენ, მას სხვების მსგავს სახელმწიფოდ წარმოიდგენენ. სინამდვილეში ასე არ არის. რუსეთი – განსაკუთრებული სამყაროა, მუდამ ერთი ადამიანის ნება-სურვილსა და ფანტაზიას დამორჩილებული, – მნიშვნელობა არა აქვს, პეტრე იქნება ის, თუ ივანე; ყველა შემთხვევაში, ეს თვითნებობის განსახიერებაა. ადამიანური თანარსებობის ყველა კანონის საპირისპიროდ, რუსეთი მიაბიჯებს საკუთარი თვითდამონების და, ამავდროულად, მეზობელი ხალხების დამონების გზით. ამიტომაც, ახალ, განსხვავებულ რეალურ მისი გადაყვანა არა მარტო სხვა ხალხების, არამედ თვით რუსეთის პირად ინტერესებში შედის.

პ. ი. ჩადავეი, „L'Univers“, 15 იანვარი, 1854 წელი

გუდაუთაში გატარებული ცხოვრების ბოლო 14 წლის მანძილზე, საქალაქო ბიბლიოთეკაში გადავიკითხე 80-იან, 90-იან და 2000-იან წლებში გამოცემული ასობით ისეთი წიგნი და ჟურნალი, რომელთაც მკითხველის ხელი არასოდეს შეხებულა... აფხაზთა უმეტესობა პუმანტარულ შეცნობებთან სფეროში (ისევე, როგორც სხვა სფეროებში) იმდენად განუზომელია, რომ მათ არც ძალუძთ მსგავსების დასახვა უკრაინაში დღეს მიმდინარე მოვლენებსა და აფხაზეთის 1992-93 წლების ამბებს შორის. შეუღამაზებელი სინამდვილის, როგორც მოცემულობის, კონსტატაცია ასეთია – დღეს აფხაზთა ზოგადი კულტურისა და განათლების დონე არ იმდენად არანაირ იმდენ იმისა, რომ ოდესმე ერთმანეთს საზოგადოებრივად შეეხებოდნენ, მაგალითად, რა მოუვიდოდა ფინეთს 1939-40 წლებში, რომ ვერ მიუხერხებინა რუსეთისაგან თავის დამოუკიდებლობის დაცვა? ან: ლამის სისხლისღვრა და ცილით უკრაინა რატომ ცდილობს „უფროსი ძმის“ მარწმუნებლად თავის დადევნებას? ან: რა ბედი ელოდა საქართველოს, თუ მას სათავეში ჩაუდგებოდა ი. გიორგაძე, როგორც ამას იმდროინდელი რუსეთი? ცოტათი მაინც ადეკვატურად რომ აღვიქვათ საკუთარი თავი, საკუთარი ხალხის ისტორია, მინიმუმ, უნდა შეგვეძლოს ისტორიული პარალელების გაკლება. მე არასოდეს მსმენია აფხაზი ეროვნების ისტორიკოსის, ან ფილოსოფოსის შესახებ, რომელსაც კაცობრივ კომუნისტური იდეოლოგიისა და მორალისაგან თავისუფალი, ანალიტიკური აზროვნების უნარი შესწევს. ვფიქრობ, ასეთი არცაა აფხაზეთში... აქ საჭიროდ მიმაჩნია მკითხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება იმ სამი საკითხის ირგვლივ, რაც ზემოთ ჩამოთვალე: 1) ფინეთი, თანამედროვე მაღალგანვითარებული და მაღალი ტექნოლოგიების ევროპული სახელმწიფო, რუსეთის შემადგენლობაში რომ ყოფილიყო – ჩუხლანდია და ჩუხონცები (ისტორიულად, რუსულ ენაში „ჩუხ-

ნა“, „ჩუხონცი“ ფინელების დამაცილებელი მეტსახელია) დღეს სანკტ-პეტერბურგის ქუჩებსა და მოედნებს დაგვიდგენს, როგორც ამას ახლა უზბეკები და ტაჯიკები აკეთებენ; 2) უკრაინა, ე.წ. „საბაჟო კავშირში“ მოხვედრის შემთხვევაში, საუკუნოდ დარჩება იმად, რადაც ყოველთვის მიიჩნეოდა რუსეთის იმპერიის მიერ – ხოხლანდია, ყოველგვარი უფლების გარეშე თვითმყოფადი ნაციონალური კულტურის განვითარებასა და ეროვნულ იდენტურობაზე, რომლის ძირითადი ეთნოსი – „შუქმდგარი რუსები“ – განუწყვეტელი ასიმილაციის შედეგად უნდა გათქვფილიყო „უფროსი ძმის უძირო წილში“; ეს ხალხი რუსი ხელისუფლებისთვის ყველა დროში რჩებოდა „გამწვევ ძალად“ – ომებს შორის პერიოდში, ხოლო ომების დროს – იათ საზარბაზნე ხორცად... (თუ პატივცემულმა მკითხველმა არ იცის, რით განსხვავდება უკრაინელისთვის ნორმალური რუსი საძულველი „კაცაბებისა“ და „მოსკალებებისაგან“, გეტყვით, რომ ნორმალური რუსისთვის უკრაინელი – ძმა, კაცაბებისა და მოსკალებისთვის კი – „უძმროსი ძმა“. აქ პრინციპული განსხვავება ისაა, რომ ძმა ძმის თანასწორია „თავისი დროისთვის“ უფლებებით“ (იხ. „საყოველთაო დეკლარაცია“, სტ. 1), უძმროს ძმას კი შეიძლება წამოართვა კეფაში, ან პანდური ამოკრა წელს-ქვემოთ; ან, უფროსი ძმის ძალით და გავლენით, შეგიძლია სულაც წართუვა ის, რაც მოგწონს...); 3) საქართველო, ი. გიორგაძის გარეშე დიდებული შემთხვევაში, რუსეთის იმპერიის მისადგომებთან მდებარე ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის მსგავსად, ვეღარასოდეს დაადგენდა თავს ქურდულ მენტალობასა და კორუფციას...

სამინელების მთლიანად შეფერილი გაურკვევლობით ვაკვირდებოდი 2000 წლიდან, მთელი 14 წლის განმავლობაში, ჩემი ხალხის ცხოვრებას ყველა სფეროში და განცდა იმისა, რომ არაფრის შეცვლა არ შემეძლო, სასოწარკვეთაში მაგდებდა... იმ დასკვნამდეც მივიღე, რომ ჩვენ ყველანი ან ვცდებით, ან ვთვალთმაცობთ, როცა ვამტკიცებ, რომ ადამიანი... მაიმუნისგან წარმოიშვა. ოქსფორდელი პროფესორი, მაგალითად, ამაზონის პირ-

ველყოფილ ნაპირებზე მცხოვრები აბორიგენისგან განსხვავებით, უკვე „შედეგ“, როგორც „გონიერი ადამიანი“ (ჰომო საპიენს), მაშინ, როცა მის შორეულ მოძმეს ამაზონის ნაპირებზე (ან აფხაზეთში) კიდევ ერთი საუკუნე მინც დასჭირდება „შედეგობისთვის“, თუ, რასაკვირველია, რომელიმე საგარეო და განსაკუთრებული მოვლენა არ შეცვლის მის ბედს. ამ ყველაფრის უარყოფას იმდენად დიდი ფარისევლობა და თვალთმაქცობა სჭირდება, რომ ვერც კი წარმოვიდგენ ასეთი მკითხველის არსებობას. ამგვარი თვალსაზრისის ლოგიკური ექსტრაპოლირება შესაძლებელია სხვა ხალხების, მათ შორის, აფხაზების კულტურულ მდგომარეობაზეც. ყბადღებური პოლიტიკორექტულობის მიუხედავად, ვერაინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ არსებობენ მაღალკულტურული ერები და ასევე არსებობენ ხალხები, რომლებიც ძალიან შორს დგანან თანამედროვე კულტურისაგან. ამის აღიარება არანაირად არ არღვევს ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის“ 1-ლ სტატიას. ყველამ ვიცით, რომ ამერიკული, გერმანული, იაპონური მარკის ავტომობილის რუსული წარმოების ავტომობილზე წინ დაყენებს ნებისმიერი რასისა თუ ეროვნების ადამიანი. სხვა საქმა, თუ ვილაპარაკებთ რუსულ „ხორსაკებზე“ – ადამიანის ხორცის ფარშად გადასაქცევ ხელსაწყოზე – აქ ჩვენს „კალამებსა“ და საბრძოლო რაკეტებს, მგონი, ბადალი არ ჰყავს... როცა ვამაყობთ ჩვენს მიღწევებით კოსმოსურ მეცნიერებასა და ტექნიკაში, უნდა გვანსოდეს ის ფაქტი, რაც ჩვენ გავიღეთ ამ მიღწევებში: საბჭოეთში შეუძლებელი იყო ტუალეტის ქალაქის რულისონის ყიდვა, როცა ოური გაგარინი დედაძმის გარშემო დაფრინავდა! არც ის უნდა დაგვაგვიწყდეს, როგორ და რა მიზნით მიმდინარეობდა სარაკეტო-კოსმოსური ფორსირებული ტექნიკის წარმოება და რით დასრულდა სსრკ-თვის გამაღებელი შეიარაღება 1991 წელს... მტკიცედ მჯერა: რომ არა რუსეთის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, ყველა დროის ხელისუფლების კაციჭამია ბუნება, რადენობრივად რუსები ჩინელებზე ნაკლებნი როდი იქნებოდნენ, და ათვისებული და კეთილმოწყობილი

იქნებოდა მთელი რუსეთი: წყნარი ოკეანის სანაპიროდან, პეტროპავლოვსკ-კამჩატკიდან დაწყებული, ნარვაზე მდებარე ივან-ქალაქამდე... მაგრამ, „დაეუბრუნდეთ ჩვენს ცხვრებს“ – მიუხედავად იმისა, რომ ეს ფრანგული გამოხატულება ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და შინაარსს იძენს. ...აფხაზი ხალხის მრავალწლიანმა და მიზანმიმართულმა ზომიერებამ გამოგნებელი, პარადოქსული შედეგები მოიტანა: „უფროსი ძმის“ მიერ (მათ შორის, რუსი მაღალჩინოსნების, პუტინის ჩათვლით) წაქეზებულმა აფხაზებმა სწრაფად ირწმუნეს ქართველებზე თავიანთი მრავალჯნის კულტურული აღმატებულობა; მაგრამ ეს ილუზორული და წარმოსახული უპირატესობაც არასაკმარისად მოქმედებდა, რადგან სრულიად დაკარგეს წარმოდგენა არსებულ რეალობაზე, შესაბამისად, იმაზეც, თუ რას წარმოადგენენ დღეს და რა ადგილი უჭირავთ პარლამენტის დეპუტატის, ვინმე ბ. ბუტბას სტატია, რომელშიც ავტორი, თანამედროვე სამყაროს პრობლემებისა და საფრთხეების გრძელი ჩამონათვალის შემდეგ, კაცობრიობას სთავაზობდა – „იღ-ამ-მე-ნი-ი-წი-მე-ნი“ – მისი „ბედნიერი“ სამშობლოს ფარგლებში უკვე გამოცდილ საშუალებას ყოველგვარი ბოროტებისგან განსაკურნად – ზი-ნი-მე, იმ-მე-ნი – ზი-ნი-მე-ნი (!) კაცობრიობის ამ კეთილისმყოფელს, რომელიც მსოფლიო აფხაზთათვის ბუნებრივ გეოგრაფიულ-ტომობრივ მდგომარეობაში დაბრუნებას სთავაზობს, რომელიმე „პროკურორთან“ ან „ნაპოლეონთან“ ერთად თუ მოვათავსებთ პალატაში, სადაც „პროლეტარიზაცია-გლობალიზაციის“ „გამართორქებული“ მოწინააღმდეგეც დახვედრებათ, ეს მართლაც მნიშვნელოვანი სიკეთე იქნებოდა მსოფლიო სიმშვიდისთვის, მით უფრო – ბედკრული აფხაზეთისთვის, რომელიც, გარესამყაროსგან ეკლიანი მათეულხლართით გამოჯანულები, საკუთარ წუშპეში იძირება როგორც პირდაპირი, ფიზიკური გაგებით, ისე

კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური თვალსაზრისით. ქალაქ გუდაუთაში, მაგალითად, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან (!) მოყოლებული, სრულიად განადგურებული და ჯერაც აღუდგენელია საკანალიზაციო სისტემები. მრავალსართულიანი და მრავალბინიანი სახლებიდან წამოსული ფეკალური მასების ნაკადი შენობების სარდაფ-საძირკვლებისკენ მიედინება, სადაც საგანგებო ქიმიური დამცავი გარეშე ჩასვლა იმდენად შეუძლებელია, რომ მიუჩვეველ ადამიანს შეიძლება გულიც წაუვიდეს. ასეთ სახლებში მცხოვრები ახალდაბადებული ბავშვები (დღეს არაფერს ვამბობ – რაც დათესეს, ის მოიმაკეს) თანდაყოლილი „ტოქსიკომანია“ არიან, დაავადების თანმდევი ყველა გარემოებითა და შედეგით... უფრო, ამ აუტანელ სუნში როგორ იშლება ქორწილებისა თუ ქვლების ე.წ. „პალატები“... მერე კი, ვითომც არაფერი! – იწყება თავდავიწყებამდე მისული სმა-ჭამა და ღრუბა! გაოცება გიპყრობს: როგორ ახერხებს ეს ხალხი, ყოველდღიურ ცხოვრებაში აშკარად წარმართები (ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით), თავი წარმოაჩინოს, როგორც ქრისტიანმა, ან მუსლიმანმა, როცა სინამდვილეში არც ერთი და არც მეორე ე.წ. ყველაფერი მათ სულაც არ უშლით ხელს, საკუთარ თავზე არაადეკვატურად მაღალი წარმოდგენა ჰქონდეთ! აი, კიდევ ერთი მაგალითი: საკურორტო სეზონი დასასრულს უახლოვდებოდა და მე, ჩვეულებრივად, ტალღამტენთან ვთევზაობდი. შორიხლოს, სანაპიროსთან რუს დამსვენებელთა ჯგუფი შევნიშნე, რომელიც ყურადღებით უსმენდა (დაახლოებით ისე, როგორც ნორმალური ადამიანები უსმენენ ხოლმე მოლაპარაკე თუთიყუშს) წელამდე წყალში მდგარ აფხაზს. ჩემი საქმით გატაცებულმა, მათ ყურადღება მხოლოდ მაშინ მივაქციე, როცა აფხაზმა ღრმად შეცურა ზღვაში და შორიდან, როგორც ჩანს, თემის ამოსაწურად, ნაპირზე დარჩენილებს გამოსძახა: „პი-იტ-ლერი ამბობდა – ხელი არ ახლოთ აფხაზებსო!“ (!) (?) დაე, მკითხველმა იმკითხოს, მართლა აფრთხილებდა პიტლერი კაცობრიობას აფხაზთა სამშობლოზე, თუ საერ-

გაბრძანება. დასაწყისი
იხ. „საერთო გაზეთი“ №5
გამოქვეყნებულია შპს-ს
„რიწაში“ (№1.2015 წ.)





თოდ არ ჰქონდა მათზე წარმოდგენა; მთავარი ისაა, რომ ეს ეპიზოდი დამაჯერებლად აჩვენებს, ვინ მიიყვანა ეს ადამიანები სივითის ამ ზღვრამდე. ასეთი ლეგენდაც არაერთხელ მსმენია: როცა სტალინის მართვეს გადასახლებაში გასავზავნად ხალხთა სია, მან აფხაზები სიდან ამოშალა, დოკუმენტს კი ასეთი რეზოლუცია დაადო: „აფხაზებს ხელი არ ახლით – ჩვენ მათგან უნდა ვისწავლოთ სწორად ცხოვრება...“ უცნაური ინტერპრეტაციით მოისმინეთ აქ ისტორიას მოციქულ სიმონ ქანანელის მოწამებრივ აღსასრულზეც; რომელიც, ძველი აფხაზური გადმოცემით, თანამედროვე ახალი ათონის მახლობლად აწამეს; „...და როცა მან (სიმონ კანანელმა) უთხრა მათ (აფხაზებს), რომ უფლის მონებად აქცევა მათ, აფხაზებმა უპასუხეს: ჩვენ არასდროს არავის დავემონებოთ, – და დაახრჩვეს ის...“

მსგავს ზღაპრებს ყოველთვის ხალხი თხზავს, ოღონდ იმ ჩინოვნიკთა წაქეზებით და შეძახილებით, რომლებიც ფეხქვეშ ეგებიან ნებისმიერ რუს ჩინოსანს, ოღონდ კი შეინარჩუნონ მათი კეთილგანწყობა, რადგან იციან, რომ ამაზე და მოკიდებული მათი ილუზორული და დანაშაულებრივი ცხოვრება. უმაღლესი რგოლის რუს ჩინოვნიკებს არ სჭირდებათ მედიკამენტური საშუალებები, მაგალითად, ჰემოროის სამკურნალო – ჰემოროის საწითლები სრულად ჩანაცვალა ურთიერთობამ „სტრატეგიულ პარტნიორებთან“ – აფხაზების, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობასთან... ერთადერთი ხილული მატერიალური ფაქტორი, რაც აფხაზებს ერთგვარად აძლევს საკუთარ თავზე არაბუნებრივი და ჰიპერბოლიზებული წარმოდგენის განმტკიცების საშუალებას, პრესტიჟული მარკის ავტომანქანების უდიდესი რაოდენობაა, რაც საოცარ შეუსაბამობაშია ფაქტობრივად დატაკი რესპუბლიკის ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ეს მოვლენა გაკვირვების საგანია მათთვის, ვინც ცუდად იცნობს აქაურ მკვიდრთ. აფხაზეთში ნებისმიერი ადამიანის სტატუსი 100 პროცენტით დამოკიდებულია მისი ავტომობილის მარკასა და გარეგან იერზე. ამ მანქანების შესაძენად, ძირითად შემთხვევაში, ისინი ყიდიან ბინებს, სახლებსა და მიწის ნაკვეთებს, რომლებიც ომის შედეგად დაზოცილ, განდევნილ, ან უარსისხვან თავის გადასარჩენად გაქცეულ მრავალრიცხოვან ქართველ მოსახლეობას ეკუთვნოდა... ბევრმა არც კი იცის, რომ ადგილობრივთა უმრავლესობა გამუდმებით იმაზე ფიქრობს, სად იშოვოს ფული, რომელიც ძვირადღირებულ მანქანაში ბენზინის ჩასასხმელად, ან სულაც ჰეროინის შესაძენად სჭირდება. იმაზე, რომ ამ ხალხში, აბსოლუტურ კულტურულ ვაკუუმში, იბადება და იზრდება თაობები, იზოლირებული გარესამყაროსაგან ეკლიანი მავთულხლართით, – არავინ ფიქრობს. არავის აინტერესებს, რა შედეგებს მოიტანს ეს მომავალში... არც სურთ იცოდნენ – მთელი სოციალური ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი: ერთი გამუდმებით იმაზე ფიქრობს, სად გადაძალის ნაქერი დალი, მეორის ზრუნვის საგნად კი ყოველდღიური „პური არსობისა“ ქცეულა მხოლოდ... ორივე ნაწილის ინტერესები ანიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება... თუმცა, ისევე ჩემს დაბრუნებას უნდა დაუბრუნდეს – ვიამბობთ, სად, როდის და რა ვითარებაში გავივებ პირველად ჩვე-

ნი ავადსახსენები „გმირის“ – ა. გოგუას სახელი და საქმენი საგმირონი.

...1989 წლის ადრეულ გაზაფხულზე გადავწყვიტე „წავსულიყავი უდაბნოში“ – განდევნილად მეცხოვრა მთებში, სადაც დავიბადე. ამ მიზნით და „უფასო თანაშემწეობის“ პირობით დავსახლდი ჩემს ერთ-ერთ ძმასთან (სამთავან), რომელსაც მცირე ნახირი ჰყავდა და ამის გამო წელიწადის უმეტეს დროს მთაში ატარებდა. მიზეზთა და მიზეზთა გამო, ეს საქმე საკმაოდ დელიკატური იყო და მოთმინებასა და „დიპლომატიურ“ უნარჩვევებს მოითხოვდა, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება ურყევი იყო – უკვე მანუხებდა ავი წინათგრძნობა, რომელიც მალე ახლა კიდევ, მე კი, ქვეცნობიერის აღონეზე, ვხელმძღვანელობდი დევიზით: „თავს უშველვა, სანამ მთელი ხარ!“ – ბოლომდე არ შესმოდა, რომ თავს დამტყდარ უბედურებას ვერც მთებში დავემალე-ბოდი.

9 აპრილს, გამთენიისას, მზის ამოსვლამდე კარგა ხნით ადრე, უმიზეზო შფოთით გამეღვიძა, რაც უცნაურად მეჩვენა. ერთხანს ვიტყვი საწოლში, და როცა დავერწმუნდი, რომ ძილი აღარ მეკარებოდა, სიგარეტს მოვეკიდე და ჩე-

ზმოელი და ღრუჭუნე, საიდანაც ვერაფერს ვაგებდით იმის გარდა, რომ ბედნიერების უდიდესი განცდით შეგვრობილ და თავბრუდახვეული ა. გოგუას, რომელიც იმ მომენტში მთელ აფხაზ ერს წარმოადგენდა, სიხარულით სუნთქვა ეკვროდა! მომთმენმა ინგლისელმა, რომელიც ჭეშმარიტად ინგლისური ტაქტის ნიმუშს განასახიერებდა, მაინც მაღწია თავისას, როცა უკვე მერამდენედ დასმულ შეკითხვაზე: – როგორია პირადად თქვენი დამოკიდებულება თბილისში საბჭოთა ჯარების მოქცევაზე? – პირდაპირი პასუხის სანაცვლოდ, მიიღო რაღაც საშუალო პასუხსა და შემხვედრ შეკითხვას შორის, თუმცა ეს სრულიად საკმარისი იყო მისი აზრის გასაცხადებლად: „აბა რა უნდა ექნა?“ (!) – რაც უიარაღო ხალხის მკვლელების მიმართ ინტერვიუერის უპირობო მხარდაჭერასა და სოლიდარობას აღნიშნავდა. ნებისმიერი, ოდნავ მაინც მოაზროვნე მსმენელისთვის, რომ არაფერი ეთქვათ დახვეწილ და მრავლისმნიშვნელოვან ინგლისულზე, გასაგები იყო, რომ გენერალ როდინოვის ადგილზე ა. გოგუა მსხვერპლის რაოდენობას სიამოვნებით გაზრდიდა ასეულებამდე და ათასეულებამდე...



მი განუყრელი რადიომიმღების – „ოკეანის“ ლილაკს დაგვიტოვო თითი. წინა დამით ბიბი-სის-სეფეფეტილი ტალღა ისევ ახმაურდა და გავივინე ორი მოსაუბრის ხმა: ერთი – ინგლისური აქცენტით, მეორე კი... აფხაზურით. რადიომიმღების სიხშირე შეძლებისდაგვარად გავასწორე და გულსისყურით ვისმენდი უახლეს ამბებს თბილისში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ხმა ინგლისური აქცენტით პირველად არ შესმოდა – ეს იყო აღნიშნული ტელერადიოკომპანიის მოსკოვში აკრედიტებული კორესპონდენტი ტიმ პოუელი, აფხაზურაქცენტის ხმა კი იმხანად სეპარატისტების მიერ შექმნილი ორგანიზაცია „აიდვილარას“ თავმჯდომარეს, ალექსეი გოგუას ეკუთვნოდა. პირველი ინტერვიუს იღებდა მეორისგან, რათა გავეცო მისი აზრი გენერალ როდინოვის მეთაურობით საბჭოთა ჯარის მიერ 8-9 აპრილის დამეს თბილისში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის შესახებ, რის შედეგადაც, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, სასანგრე ნიშნებით და მომწამლებული გახზი დაიღუპა 20-ზე მეტი ადამიანი (დაჭრილებს თვლა არ ჰქონდა), ძირითადად, ახალგაზრდა ქალები. ნახევარ საათზე მეტ ხანს, რომელიც მაშინ უსასრულოდ მომეჩვენა, ინგლისელი გოგუას ერთსა და იგივე შეკითხვას უმეორებდა: როგორ აფასებთ თბილისში მიმდინარე და უკვე მომხდარ მოვლენებს? – რასაც პასუხად მოსდევდა გაუგებარი

გარკვეული დროის შემდეგ მივხვდი, როდენ დაკარგული მქონდა ამ ინტერვიუს მსვლელობის პროცესში ეროვნული იდენტობის ყველა ნიშანი!

...1992 წლის აგვისტოში, სულ მალე ომის დაწყებამდე, როცა გამოქვეყნდა აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის „გამართვა“ მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი, რომელშიც ის ირწმუნებოდა, რომ „უზრუნველყოფილი იყო მსოფლიოს მხარდაჭერით“ და ა. შ., – ეს ან ამკარად ცინიკური და უბოდიშო სიკრულე იყო, ან გულუბრყვილი ომის მოტყუება „გამართორქებული“ იდიოტისა, რომლისთვისაც „მსოფლიო საზოგადოებრიობა“ იწყებოდა ყუბანისა და ღონის კახაკების სივრცით და მთავრდებოდა კრემლსა და ლიუბიანკაში, რაც მოგვიანებით მისი ფსიქიკური დაავადებითა და უღრრო გარდაცვალებით დადასტურდა. ნათქვამია, რადაც ვიყიდე, იმავე ვყიდი... სიცოცხლის ბოლო დღეებში აღარც კი დგებოდა დოკუმენტით დატენილი დივიდან... პრეზიდენტ ვ. არძინას მიუკერძოებელი და საბოლოო დახასიათებისთვის, რომლის „უჩვეულო გონებისა“ და „პოლიტიკური გენიის“ შესახებ აფხაზეთში დღესაც თავყანისცემით საუბრობენ, საკმარისია გავიხსენოთ, რომ მან პირველმა (!) მიულოცა „გამარჯვება“ პუტჩისტ კომუნისტრევანშისტებს 1991 წლის 19 აგვისტოს.

აღარ შემეძლო ამეტანა ძმის ოჯახში გამეფებული ეიფორიული განწყობა და მეზობლების მხიარული გადაძახილები, ძმის სახლთან ახლოს, შემადლებულ ბორცვზე ავედი, სადაც 41 წლის წინ დაბადებულვარ სახლში, რომლის კვლიც აღარსად იყო, და ამოვთხარე საფლავის ზომის ორმო; გრუნტი მიწის მომცრო ფენის ქვეშ, რომელიც რბილი ფიქალისა აღმოჩნდა, ტოტებითა და ფოთლებით მოფენიე... ამ იმპროვიზებულ საფლავში ვიცხოვრე 5 მაისამდე (წარმომიღვინა, როგორ ხატავს განსაკუთრებით მგრძობიარე და ემოციური მკითხველის ფანტაზია ცოცხლად მიწაში დამარხული ადამიანის ცხოვრებას, მე კი ვცდილობ წარმოვიფიქრო, რა შეიძლება იყოს ეფექტი და განეცადა ჩემს 78 წლის დედას ამ ამბის გაგების შემდეგ)... წინათგრძნობა მთავრობის ტრაგედიისა, რომლის სისასტიკე ბევრად გადასცდა ადამიანურობის საზღვრებს, და რომელიც განსაზღვრავდა მაშინ ჩემს საქციელს, გამართლდა – გაივლის ორ წელზე ცოტა მეტი და მიწა ფსოუდან ენგურამდე ომის მსხვერპლთა საფლავებით ამოივსება... იმ ომისა, რომელშიც, აპრილი, ვერავინ იქნებოდა გამარჯვებული ან დამარცხებული, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით მესამე მხარეს... მაგრამ ამის შესახებ მაშინ მხოლოდ ადამიანური მოდგმის მტრებმა იცოდნენ (ლერმონტოვისეულად: „თავისუფლების, გენიისა და დიდების ჯვალათებმა“) – კრემლში, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში, და ცნობილ შენობაში ლიუბიანკაზე...

ზემოთ შემთხვევით როდი ვახსენე „წინათგრძნობა“: 1968 წელს ქ. გუთაუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსთან, გვარდიის პოლპოლკოვნიკ უშანგი კვიციანიანთან დამბარეს, რომელმაც მიმანიშნა, რომ ვიმყოფები კვბ-ს ადგილობრივი განყოფილების აღრიცხვაზე სსრკ-ის, მისი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის შესახებ „ცილისმწამებლური მოსაზრებების“ გავრცელების გამო თანატოლებს შორის. (პატივი მინდა მივაგო ამ ყოველმხრივ პატივსაცემი ადამიანი ხსოვნას, რომელიც იყო მილიციის უფროსი, მაგრამ სარგებლობდა პრივილეგიით – არ ეტარებინა მილიციელის სამხრეები: ის მხოლოდ გვარდიელის სამხრეებს ატარებდა); სწორედ ამ ადამიანს ვუმაღლი ჩემს პირველ გაქცევას სამშობლოდან, სადაც, უკეთეს შემთხვევაში, მელოდა უკანონო სასჯელი არჩადენილი დანაშაულისთვის და ხანგრძლივი მივლინება გულაგში... სამშობლოში დაბრუნდი 5 წლის შემდეგ, 1974 წელს; მოვიარე მთელი კავშირი უსურისკისა და მაგდანის მხარეებიდან – კალინინამდე, ლენინგრადამდე, რიგამდე, ტალინამდე, რუსეთის „წმინდა“ მიწაზე ხეტიალისას ვიწვინე შიმშილიცა და სიცოცხლე, გრომებისათვის კატორღული შრომის სიმძიმე, განვიცადე ეგზისტენციალური მარტოობის სევდა, თუმცა მაშინ არც სიტყვა „ეგზისტენციალიზმი“ მქონდა გავიხსენი და არც ალბერ კამიუსა და ანტუან დე სენტ-ეკზიუპერის სახელები – მათთვის ვის ეცალა...

გოგოლის მიერ მისივე „უკვდავი პოემის“ – „კვლადი სულების“ ჯერაც გამოუქვეყნებულ ხელნაწერში ხმამაღლა კითხვისას: „დემეტო, რა სევდიანია ჩვენი რუსეთი“... „ვენს-ყველაფერს“ – პუშკინს „სევდიანის“ ნაცვლად სიტყვა „სამინელი“ რომ ეთქვა, ეს გაცილებით ახლოს იქნებოდა იმ სინამდვილესთან, რაც გამოვლინდა რუსეთის ისტორიის მომდევნო პერიოდებში: ისტორიკოსებს ჯერაც ვერ გაუაზრებიათ ბოლომდე რუსეთის როლი ორ მსოფლიო ომში, ურთიერთობებში პოლინეთსა და უნგრეთთან, კორეისა და ვიეტნამის ომებში; განა სათანადოდ შეფასებულა 1961-62 წლებს „კარიბის კრიზისი“, სადაც კრემლის „სტრატეგებმა“ – ადამიანური მოდგმის ურჩხულებმა – ბირთვული ასავიქებელი რაკეტები შეიტანეს და ამით არა მარტო „დედა უტირეს“ „თავისუფლების კუნძულს“, არამედ ბირთვული აპოკალიფსის საფრთხე შეუქმნეს მთელი კაცობრიობას! დაუმატეთ ამას 1968 წლის ჩეხოსლოვაკია, 1979-1989 წლების ავღანეთი, ორი ომი ჩეჩნეთში, მოლდოვის, სომხეთის, საქართველოს, დღეს უკვე – უკრაინის მოვლენები... ყველაფერს ვერ ჩამოთვლი. უ. ფ. ტიუტჩევს, რუსულენოვანი მკითხველისთვის კარგად ცნობილს თავისი სახელგანთქმული კატრენით – „Մի ին Էն նին ի ֆի ֆի ֆյմ...“ – აქვს კიდევ სხვა, გაცილებით ნაკლებად ცნობილი და იქნებ ბევრად საინტერესო გამოინათქვამები რუსეთის შესახებ, ოღონდ ეს უკვე პროზაში: „რუსეთის ისტორია პეტრე პირველის შემდეგ – ერთი დაუსრულებელი სისხლის სამართლის საქმე“. ტიუტჩევისეული ციტატა აქ მთავრდება, მაგრამ არ მთავრდება და დღემდე გრძელდება სისხლის სამართლის საქმე, უსამველოდ გაწეული სივრცესა და დროში... ვლადიმერ პუტინი ნებისმიერი ჭეშმარიტი რუსი პატრიოტისთვის მიუღებელი უნდა იყოს არა იმდენად რუსეთის ისტორიისთვისა, არამედ რუსეთის ისტორიისთვისა (ამ ბრძოლი მეცნიერების შესასწავლად მას ნაკლებად ექნებოდა დრო და შესაძლებლობა), არც იმისთვის, რომ მისი მართვის პერიოდში მთლიანად გაჩერდა რუსეთში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოების შენების ახალფეხადგებული პროცესი, – რამდენადაც იმის გამო, რომ 21-ე საუკუნეშიც აგრძელებს ქვეყნის „დანაშაულობათა ნუსხას“, რისთვისაც რუსეთს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოეკითხება.

ფ. ენგელსი, კარლ მარქსის თანამოაზრე, რომლისთვისაც რევოლუცია იყო ერთადერთი რელიგია, მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს წერდა: „ვერანაირი რევოლუცია ვერცხვას და მსოფლიოში ვერ გაიმარჯვებს მანამ, სანამ არსებობს რუსეთის სახელმწიფო...“ სწორედ 1917 წლის ოქტომბერი და აპოკალიფსური მასშტაბისა და რაოდენობის მსხვერპლით დასრულებული სამოქალაქო ომი გახდა ის საზღაური, რაც უნდა გადაეხადა რუსეთს ევროპულ პოლიტიკაში გასატარებელი რევოლუციური გარდაქმნების ხელისშემშლის გამო. როგორი იქნება მსოფლიოს გლობალური ინტერესების წინააღმდეგ პუტინის რუსეთის მანიაკალური დაპირისპირების ფასი – მომავალი დაგვანახებს. პირადად მე გავგებავ ვივარაუდო, რომ ნაძირალა ჩეკისტური ხელისუფლების წყალობით, რუსეთი მესამე მსოფლიო ომის დინამიკური გახდება, ოღონდ კი პასუხი არ ავოს კრემლის ამჟამინდელ თუ წინამორბედ ბინადართა დანაშაულებებზე...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

...იმავე დღეს, 9 აპრილს, რაკი



გიგა ლვალის

საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

გრავიციაციის სიჩქარეში ჩართული საქართველო

დაიბადა თბილისში (1963), დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა (1980), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1985). დისერტაცია დაცვა თბილისში (1992). მისი სამეცნიერო სფეროა: თეორიული ნაწილაკების ფიზიკა, კვანტური გრავიტაცია, მსხვილი გრავიტაციული განზომილებები...

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის თეორიული კვლევების პროფესორი, ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის (LMU, მიუნხენი) ფიზიკის კათედრის გამგე და პროფესორი, მაქს პლანკის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი.

მიღებული აქვს ნიუ-იორკის მერიის ვიდეო „განსაკუთრებული მიღწევებისათვის მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში“ (2001), ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ვერცხლის პროფესურა (2007), გერმანიის უმაღლესი სამეცნიერო ვიდეო – ჰუმბოლდტის პროფესურა (2008)... არის დევიდ და ლუსილ პაკარდების ფონდისა და ალფრედ სლოუნის ფონდის წევრი. ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრის მუდმივი წევრი...

საქართველოში ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და აღრონული თერაპიის მეგაპროექტზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. ამ განდიოზული იდეის განსახორციელებლად უკვე შექმნილია თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო კონცეფციის შემუშავებული კომისია, რომლის ერთ-ერთი თავმჯდომარე ფიზიკოსი გია დვალისაა. დასახული მიზნის მისაღწევად იგეგმება მოლაპარაკებები უცხოელ პარტნიორებთან, განსაკუთრებით კი ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრსა (CERN) და ონკოლოგიურ დაავადებათა აღრონული თერაპიის ცენტრთან (CNAO).

გასული საუკუნის 50-იან წლებში მაღალი ენერგიის საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტის (BERN) შექმნა ორმა ძირითადმა მიზეზმა განაპირობა: ფიზიკის დარგში კვლევების ორგანიზება და ჩატარება მეტისმეტად ძვირად, ცალკეული სახელმწიფო დიდი ექსპერიმენტების დაფინანსებას დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა; და კიდევ, ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე მომხდარმა აფეთქებებმა მსოფლიოს დაანახვა, რომ არ შეიძლება ბირთვული ენერგიის კვლევა რომელიმე ერ-

თი სახელმწიფოს ფარგლებში არსებობდეს. ამ ორი უმთავრესი მიზეზის გათვალისწინებით, 1954 წლიდან ამოქმედდა ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია CERN-ი, რომელმაც არსებობის განმავლობაში მსოფლიო მნიშვნელობის არაერთი ექსპერიმენტული ცდა ჩაატარა და ბევრი თეორია შედგებოდა განამტკიცა. ბუნების ფუნდამენტური საკითხების კვლევასთან ერთად, ცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტი მომავლის ტექნოლოგიების განვითარებაა. სწორედ ამ ცენტრშია შემნილი ინტერნეტი, ტომოგრაფიის რადიო-, ფარმაცევტული და რენდგენული სკანირების ტექნოლოგიები.

90-იან წლებში CERN-ისა და რუსეთში არსებული ანალოგიური კვლევების დუბნის ინსტიტუტის დაახლოების პროცესი გარდაუვალი აღმოჩნდა, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველო CERN-ში მოხვდა დუბნის რეკომენდაციით – თავდებად დაუდგნენ საქართველოს, რადგან შესანიშნავად უწყობდნენ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იქ მომუშავე ქართველ მეცნიერ-ფიზიკოსთა ფასდაუდებელი ღვაწლის შესახებ.

CERN-ში არიან მონაწილე ქვეყნები და არიან ექსპერიმენტში მონაწილე ქვეყნები. სრულყოფილიანი წევრობისთვის სოლიდური გადასახადია, ამიტომაც საქართველო მეორე კატეგორიაშია. მიუხედავად ამისა, ქართველი ფიზიკოსები აქტიურად მონაწილეობენ ამ გიგანტური ცენტრის მუშაობაში და ტოლს არ უდებენ მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს – CERN-ში მიმდინარე ექსპერიმენტებში ერთდროულად 30-35 ქართველი პროფესიონალი მუშაობს. ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ექსპერიმენტი კი ევრეთ წოდებული „კოლაიდერია“.

საფრანგეთისა და შვეიცარიის საზღვრის სიახლოვეს CERN-ის კომპლექსის მიწისქვეშა და მიწისზედა ოთხი ცენტრია. ერთ-ერთი მათგანი მიწის ქვეშ 50-175 მეტრის სიღრმეზე დაახლოებით 27 კილომეტრის გარშემოწერილობის გვირაბი-ლაბორატორიაა. აქ სხვადასხვა ქვეყნის 3-ათასამდე მეცნიერი მუშაობს და ცდილობენ ექსპერიმენტების შედეგად პასუხი გასცენ ბევრ კითხვას, რომლებიც სამყაროს აგებულებასა და მის ისტორიას ეხება; აგრეთვე, გარკვეონ, აქვს თუ არა მომავალი სამყაროს საერთოდ და როგორია იგი. კოლაიდერში მიმდინარე ექსპერიმენტებზე დაკვირვე-

ბით უნდა გამჟღავნდეს სამყაროს ბევრი საიდუმლო... წარმოსახვით ძნელია, ჩაწვდე ამ ექსპერიმენტის არსს. მსოფლიოში ეს არის ყველაზე ძვირადღირებული ექსპერიმენტი, ყველაზე გრანდიოზული და ამბიციურიც, რომლისთვისაც 10-მილიარდ ევროზე მეტია გათვალისწინებული.

გია დვალის, CERN-ის მუდმივი წევრი: „ეს პროექტი საშუალებას მოგვცემს ჩავიხედოთ დროის იმ მონაკვეთში, როცა სამყარო დიდი აფეთქებიდან ჯერ კიდევ წამის მეათედი ასაკისა იყო. ნულოვანი ექსპერიმენტი არის კაცობრიობის ყველაზე დიდი მიკროსკოპი, სამყაროს შესახებ მეცნიერული და ბიბლიური



გიგა ლვალის ნიუ-იორკის მერი რუდოლფ ჰულიანთან (მარჯვნივ) და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორ ლუის რუდოლფთან ერთად

წარმოდგენების დამთხვევის დასაწყისი“.

გია დვალის, როგორც თეორიული ფიზიკის პროფესორისა და „თეორიების გენერატორის“ ლექციები ორ ათეულ წელზე მეტია დიდ ინტერესს იწვევს როგორც მის კოლეგებში, ისე სტუდენტებში.

„ჩვენი სპეციალობის მთავარი პრინციპი, უხეშად რომ ვთქვათ, ისაა, რომ გამუდმებით ვქმნით თეორიებს და მერე ვანადგურებთ მათ. ჩვენი მოღვაწეობის ძირითადი სფერო ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა, კოსმოლოგია და მათი თანაკავთაა. ეს არის საკითხები სამყაროს აგებულების ყველაზე დიდ და ცნობილ სტრუქტურებსა და მასშტაბებზე, რაც ადამიანმა შეიძლება წარმოიდგინოს ან ვერც წარმოიდგინოს“.

თეორეტიკოსები აკვირდებიან მოვლენებს, რომელთა დამტკიცება ექსპერიმენტებით არის შესაძლებელი, თუმცა არსებობს ისეთი მოვლენებიც, რომლებსაც ვერც ცდებით გაიმეორებენ და ვერც დაამტკიცებენ.

„ჩვენ ხომ არ შეგვიძლია თავიდან დავაბრუნოთ დრო, გავიმეოროთ ახალი დიდი აფეთქება და იგი განმეორებადი გავხადოთ. შესაბამისად, იარსებებს კითხვე-

ბი, რომლებზეც პასუხი არ გვექნება ან სხვაგან დავიწყებთ პასუხის ძიებას. ეს ბუნებრივია... არსებობს ფუნდამენტური კითხვები, რომლებიც ნებისმიერ ადამიანს ცნობიერად თუ ქვეცნობიერად აწუხებს – საიდან ვართ ჩვენ, რა დანიშნულება გვაქვს, როგორ წარმოვიშვიტოთ, რამე განსაკუთრებული მისია გვაკისრია თუ სამყაროს ერთი პატარა ნაწილი ვართ. ლოგიკურია თუ შემთხვევითი, რომ ჩვენი ადგილი ამ სამყაროშია. ბევრ ასეთ კითხვაზე მეცნიერული პასუხის გაცემა შეუძლებელია დღესაც და შეუძლებელი იქნება რაღაც დროის განმავლობაში. პირველსაწყისის რელიგიური ინტერპ-

რეტაცია და მეცნიერული ახსნა ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპიროთ. არის ნორმები, რაც შეიძლება მეცნიერულად შეისწავლო და არის ისეთი რამ, რაც მეცნიერულად, ტექნიკურად მიუწვდომელია“.

XX საუკუნის დასაწყისში ფიზიკის დარგში გაიმართა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ იმ დროის ავტორიტეტული მეცნიერები: მარი კიური, ალბერტ აინშტაინი, ანრი პუანკარე, მაქს პლანკი... ეს სამეცნიერო თავყრილობა თავისი შედეგებით იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ რამდენიმე წლის წინ მისი 100 წლისთავი აღნიშნეს. ვიწრო წრისთვის განკუთვნილ ამ სამეცნიერო ფორუმზე მიიწვიეს თანამედროვეობის უდიდესი ფიზიკოსები, რომელთაგან ბევრი ნობელის პრემიის ლაურეატია. წვეულთა შორის იყო გია დვალის, რომელმაც მსოფლიო რანგის ფიზიკოსთა ფორუმზე წაიკითხა ლექცია ინფორმაციის შენახვისა და „შავი ხვრელების“ შესახებ.

ფიზიკოსების მოსაზრებით, თეორიები, რომლებსაც პროფესორი გია დვალის თავის კვლევებთან ერთად ავითარებს, ექსპერიმენტულად დამტკიცების შემთხვევაში, თანამედროვე ფიზიკა-

ში ბევრ რამეს შეცვლის. მისი თამამი ჰიპოთეზები სამყაროს მოწყობას, გრავიტაციის კვანტურ თეორიას და დამატებითი განზომილებების აღმოჩენას შეეხება. მაგალითად, დღემდე ეჭვი არავის შეუტანია ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონის მართებულობაში, უფრო ზუსტად, ეს კანონი არც მცირე და არც დიდ მანძილებზე არავის გაუზომავს. დვალის (და მისი კოლეგების) თეორიის თანახმად, შეიძლება მოხდეს ამ კანონის მოდიფიცირება მცირე და დიდ მანძილებზე.

დღეისათვის ფიზიკა და კონკრეტულად, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა ახალ რენესანსს განიცდის. ახალგაზრდა თაობა ხელახლა იკვლევს სამყაროს მოწყობის აქამდე დამტკიცებულად მიჩნეულ მოდელებს და მსოფლიოს რადიკალურ იდეებს სთავაზობს. მათი ნაწილი სხვადასხვა თეორიას შორის კავშირებს და დროისა და სივრცის ურთიერთმიმართებას სწავლობს, ნაწილი კი სივრცული დამატებითი განზომილებების არსებობის დამადასტურებელ კვალს ეძებს. მათ შორის ერთ-ერთი, ვისმაც აღმოჩენებამაც შესაძლოა ახალ ფიზიკას დაუღოს სათავე, ქართველი მეცნიერი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი გია დვალის არის.

ცილობს, ხშირად ჩამოვიდეს სამშობლოში, შეხვდეს ახალგაზრდებს, მომავალ კოლეგებს თუ სამყაროს შემეცნების, მისი გლობალური პრობლემებით დაინტერესებულ საზოგადოებას. ამბობს, ასეთი შეხვედრები უდიდეს პოზიტიურ მუხტს მძლევს. აუდიტორიაში დაგვემილი ლექცია უმრავლეს შემთხვევაში სააქტო დარბაზებში ინაცვლებს, რადგან დღია მისი მოსმენის მსურველთა რიცხვი. გამოდის ტელევიზიით, მონაწილეობს დისკუსიებში და გამუდმებით ცდილობს, თავისი გზავნილები ხაღხს გააცნოს. მიანია, რომ ინტელექტუალური გარემოს შექმნაში გადამწყვეტი როლი ეკისრება მეცნიერების აღორძინებას და მას ალტერნატივა არ გააჩნია. „პოტენციალი არსებობს და საკმარის დიდიც, მაგრამ მას გამოყენება და განვითარება უნდა. ინტელექტი უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის მთავარი რესურსი. ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ ამ ინვესტიციიდან მოგება ასმაგია“, – ასე ხედავს თავისი პატარა სამშობლოს სამეცნიერო პერსპექტივას მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, ჩვენი თანამემამულე გია დვალის.

ელზა ნაბახტაძე

საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მოსახლეობას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს – ზოგს მოსწონს მათი საქმიანობა, ზოგს არა, ზოგიერთისთვის კი სულ ერთია. ამის გარდა, რამდენი ასეთი ორგანიზაციაა ჩვენს ქვეყანაში დარეგისტრირებული, მწელი დასადგენი გამოდგება.

ინფორმაციის მისაღებად ოუსტიციის სახელს ვესტუმრეთ. მასპინძლებმა ყურადღებით მოგვიმხიბნეს და პირველი არსებითი შესწორებაც შეიტანეს ჩვენს კითხვაზე. როგორც ასეთი, არასამთავრობო ორგანიზაციები ჩვენთან არ ყოფილან. ისინი დარეგისტრირებულნი არიან, როგორც არაკომერციული, არასამეწარმეო ორგანიზაციები პირები, საინტერესოა, რატომ? რადგან ნებისმიერი ჩინიანი თუ უჩინო მათ არასამთავრობო ორგანიზაციად მოიხსენიებს, ისინი კი

ქართველოში მსგავსი ორგანიზაციები და ე. წ. დამოუკიდებელი ექსპერტები. საინტერესოა, როგორ შეიძლება იყოს ექსპერტი ახალგაზრდა, რომელმაც სასწავლებელი გუშინ დაამთავრა, არც თავის სფეროში უმუშავია, მაგრამ ყველაფერზე შეუძლია გვესაუბროს და ჭკუაც დაგვარიგოს?

გვერდს ვერ აუვლით „თავისუფლების ინსტიტუტის“ პირმშოს, „ქმარას“. სახელმწიფო გადატრიალებამდე მათი ქმედებები ყოველგვარ ზღვარს სცილობდა, მაგრამ პასუხის გამცემი არაფერია ჰყავდათ. გვასოვს, თუ რომელიმე „ქმარელი“ დაზარალებულია, „რუსთავი-2“ ვრცელ სიუჟეტებს უძღვნიდა. ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაუფასეს „ნაცმოძრაობის“ წევრებმა გადატრიალებაში შეტანილი „ღვაწი“ და „ქმარელებისა“ და „რუსთავი-2“-ის

ბის“ მხარდაჭერას და მართლმადიდებლური ეკლესიის დაქინებას მიიჩნევდნენ, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ ქართველი ხალხის მხარდაჭერა არასოდეს ექნებათ.

წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება დაგაბრალოთ ჩვენთან არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, როდესაც 2011 წლის 26 მაისის დარბევის კანონიერება, რომელიც ჯერ კიდევ 25 მაისს, ახალგაზრდა თურისტთა ასოციაციის მაშინდელმა ხელმძღვანელმა თამარ ჩუგოშვილმა „ცნო“! ამით წაქეზებულმა სააკაშვილის ხელისუფლებამ კი რა სისხლის კალოც დაატრიალა იმ დამით, ყველას კარგად გვახსოვს... გასასწავლებელი, იცოცხლები, ბევრია, რაზეც თვალს ხუჭავდნენ ჩვენი „პატივცემული“ არასამთავრობო ორგანიზაციები. ფაქტობრივად, არაკომერციული, არასამეწარმეო

არასამთავრობო ორგანიზაციები თუ „ნაბაქვა“ საიდუმლო ორგანიზაციები?

თურმე სხვა სტატუსით არიან.

– „ინფორმაციის მისაღებად შემოიტანეთ განაცხადი, გადაიხადეთ ათი ლარი და ოთხ საშუალო დღეში მიიღებთ პასუხს“ – თავაზიანად გვითხრა მასპინძელმა. აქვე გეტყვით, რომ თუ იმავე დღეს გნებავთ პასუხი, ბაჟის ფასი 30 ლარია, თუ მეორე დღეს – 20. ისე, კარგი ბიზნესია, დემონსტრირებ, თანაც სახელმწიფო დონეზე. მზად ვიყავით, უკვე შეგვეკვსო განაცხადი, მაგრამ კითხვე, რა ინფორმაციას მივიღებდი, იქნებოდა თუ არა ჩამონათვალში თუნდაც მწირი ინფორმაციები აღნიშნულ ორგანიზაციებზე. მასპინძელს ჩვენი კითხვა გულუბრყვილად მოეჩვენა, ამიტომ დიმილით ამისხსა, რომ ინფორმაციაში იქნებოდა მხოლოდ ორგანიზაციების დასახელება და რაოდენობა, ხოლო რომელიმე კონკრეტულ ორგანიზაციაზე თუ გვსურდა ინფორმაცია, ყოველ მათგანზე ცალკე განაცხადის შევსება და ბაჟის გადახდა იყო საჭირო. მათემატიკური ანგარიშით თავს არ შეგაწყენთ, რადგან ადვილი გამოსათვალა, თუ რა თანხა დაგვჭირდებოდა ინფორმაციის მისაღებად.

დავინტერესდით, რა სახის ინფორმაციას მივიღებდით ცალკეული ორგანიზაციების შესახებ. როგორც მასპინძელმა გვითხრა, საჭიროა მარეგისტრაციო ინფორმაცია. ანუ ჩვენ, ფაქტობრივად, მივიღებდით წესდებას, სადაც მითითებულია მხოლოდ ორგანიზაციის საქმიანობა, დამფუძნებლის და ხელმძღვანელის ვინაობა, დარეგისტრირების თარიღი და მისამართი. ფინანსური საკითხები კი დაფარულია. ესეც შენი საჯაროობა! ფაქტობრივად, რა გამოდის, ვინდით ფულს არაფრისთქმელ ინფორმაციაში. ამ ფარის ყოფილი ხელისუფლება თავის წარმატებად მიიჩნევს, ყველანაირი ინფორმაცია გავასაჯაროეთო! თუმცა ისიც სათქმელია, რომ არც ახალს შეუცვლია რაიმე.


საგარეულოდ, არაკომერციული, არასამეწარმეო, იგივე არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნება მომგებიანი საქმეა. რა მნიშვნელობა აქვს, რას ჩაწერ წესდებაში, მათავარია, შეასრულო სათაო ოფისის დავალება. ამიტომაც მომრავლდნენ სა-

თანამშრომლების და წევრების უმრავლესობა სხვადასხვა თანამდებობებზე დაინიშნენ. ამით „ნაცმოძრაობამ“ დაიდგინა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები მათ „ბაგაზე“ იკვებებოდნენ.

საიდუმლო აღარავისთვის არის, რომ პრეს-ტელევიზიებში, მეტწილად, მუშაობენ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან გამოსული ხალხი, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ მხურვალე მხარდამჭერები არიან.

თურმე სხვა სტატუსით არიან. თურმე სხვა სტატუსით არიან. თურმე სხვა სტატუსით არიან.

თურმე სხვა სტატუსით არიან. თურმე სხვა სტატუსით არიან. თურმე სხვა სტატუსით არიან.



ამიტომაც არის, რომ ტელევიზორებზე ერთი და იგივე ხალხს ვხვდებით, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ქება-დიდებას არ იმუშებენ. მაყურებელსაც გულუბრყვილად სჯერა მათი დეზინფორმაციის. ადვილია გაჭირვებული ადამიანების გრძობებით მანიპულირება, რომელსაც ეფექტურად იყენებს ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია.

არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგიერთი მხარდამჭერი ბოლო წლების მიღწევად იმას მიიჩნევს, რომ თურმე მსგავსი ორგანიზაციების შექმნით საქართველოში გაჩნდა სამოქალაქო საზოგადოება! მათი უკანა პლანზე გადატანა წარსულში დაბრუნება იქნება, გვაშინებენ!

საქართველოში, ჩვენდა საბედნიეროდ, ყოველთვის გვყავდა ღირსეული სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც უარფეროდ დიდ პატივს სცემდნენ უცხოეთში და ხშირად ჭკუასაც ეკითხებოდნენ. ზოგიერთ პატივცემულს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში „ცისფერი-

გვითხრა – არაფერი შეგეძალათო.

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ზოგიერთმა ჩვენმა კოლეგა-ჟურნალისტმა უკანონო მოსმენების წინააღმდეგ უკლაშქრეს. საიდუმლო სამაგვებში ნაპოვნი ჩანაწერების განადგურება მოითხოვეს. ერთადერთი, ვინც ამბობდა, ჯერ შევისწავლოთ, გამოვიძიოთ და შემდეგ გავანადგუროთო, კახი კახიშვილი იყო. საინტერესოა, რატომ ეჩქარებოდა ჩანაწერების განადგურება. „ნაცმოძრაობის“ წევრებმა, ძირითადად, პარლამენტარებმა, რამდენჯერმე გაასაჯაროეს ფარული ჩანაწერები. ამ ფაქტების შესახებ არავის, არც ჩვენს კოლეგა-ჟურნალისტებს, არც არასამთავრობო ორგანიზაციებს ერთხელაც არ უკითხავთ, თუ საიდან ჰქონდათ ფარული ჩანაწერები. ასეა, როდესაც ზოგს „ნაცმოძრაობა“ აფინანსებს და ზოგიერთის სათაო ოფისი უცხოეთშია და ფულიც ჩეჩქავით მოდის...

ბიკ გურდული
551 71 27 07

„saerTo gazeTis- iuridiul i konsul tacia



მართლო განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

– ვარ პირველი გვფუფის ინვალდი. მეუღლეს სურს ჩემთან განქორწინება. ვრჩები ულუკმაპუროდ. მე მუშაობა არ შემიძლია. მშობლებიც გარდაცვლილი მყავს. ჩემი ერთადერთი მარჩენალი იყო მეუღლე. რის გაკეთება შემიძლია სამართლებრივად? რას მიჩვენო?

– საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ასეთ შემთხვევაში თქვენ განიჭებთ მეუღლისაგან სარჩოს მოთხოვნის უფლებას. კერძოდ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1129-ე მუხლის მიხედვით, იმ მეუღლის თხოვნით, რომელსაც უფლება აქვს, მიიღოს სარჩო მეორე მეუღლისაგან, სასამართლო ვალდებულია, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განსაზღვროს იმ სახსრების ოდენობა, რაც უნდა გადახდეს მეორე მეუღლეს.

ჩემი, როგორც იურისტის რჩევაა, ეს საკითხი აუცილებლად დააყენოთ შესაბამის შესაბამის შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს თქვენს პასუხს სარჩელში დაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

– ვის მიერ უნდა მოხდეს განქორწინების მოწმობის გაცემისას ბაჟის გადახდა?

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1131- მუხლის მიხედვით, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელმა მეუღლემ უნდა გადაიხადოს კანონით განსაზღვრული ბაჟი, ასევე, თუ საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, იგი განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას.

– გარდაიცვალა პაპაჩემი. მისი ქონება გადაფორმა მთლიანად ბიძაჩემმა, რადგან მამაჩემი გარდაცვლილი იყო. ფაქტობრივად, ჩვენს მე და დედა, დაერჩით უბინაოდ. რის გაკეთება შეგვიძლია?

– მიუხედავად იმისა, რომ მამათქვენი გარდაცვლილია, თქვენ, მისი შვილი სარგებლობთ წარმომადგენლობის უფლებით და ის ქონება, რაც უნდა მიეღო მამათქვენს, ცოცხალი რომ ყოფილიყო, თქვენ უნდა მიგეძლია. სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია, რა სახის მემკვიდრეობასთან გვაქვს საქმე – კანონისმიერ თუ ანდერძისმიერით. თუ კანონისმიერი მემკვიდრეობაა, თქვენ უნდა მიგეძლია, ჩვეულებრივ სამკვიდროს ნახევარი, თუ ანდერძისმიერია, ანუ თუ პაპათქვენმა ანდერძი დატოვა მისი სამკვიდროს ბიძათქვენისთვის დატოვების შესახებ, ამ შემთხვევაში სარგებლობთ საუკლებელად წილის უფლებით და უნდა მიგეძლია დატოვებული ქონების ნახევარის ნახევარი.

როგორც წერილიდან ჩანს, სამკვიდროს მიღების 6 თვის ვადაში ბიძათქვენმა მოახერხა სამკვიდროს მიღება სანოტარო წესით. დაერჩათ სასამართლოში სარჩელით მიმართვის უფლება. საუარაუდოდ, პროცესს მოიგებთ.

ავეჯის
გადაზიდვა
593 20 46 87



შვილი წელია მომღერალი ჯაბა ბოჯგუა კომაშია ჩავარდნილი. მომღერალს ტვინი აქვს გათიშული და საწოლს არის მიჯაჭვული.

ქალბატონი მანანა 80 წლის დედასთან და შვილთან ერთად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს, იგი უმუშევარია და ძალიან უჭირს, ოჯახი მხოლოდ უფლის იმედად არის დარჩენილი. ამ ხნის მანძილზე ჯაბა მხოლოდ სითხის სახით ღებულობს საკვებს და ძალიან არის დასუსტებული და გამხდარი. დედა ცდი-

ლობს, რომ არაფერი მოაკლოს, მაგრამ, ცხადია, ეს მისთვის ძალიან რთულია. მას მხარში მეზობლები და მეგობრები უდგანან და ასე გააქვთ თავი.

ქალბატონ მანანას ღმერთის იმედი აქვს და სწამს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ერთადერთი სურვილია დედის, რომ შვილმა შეხედოს და დაელაპარაკოს. ჯაბას დედის თქმით იგი ახლა უფრო რეაგირებს გარემო ფაქტორებზე და ხმაურზე, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ კონტაქტში ვერ შედის.

ქალბატონ მანანას ახალი მთავრობისთვის ჯერ არ მიუმართავს, რათა მათგან დახმარება ითხოვოს. შესაძლებელია ოჯახი ქუჩაში აღმოჩნდეს, თუკი ბინის პატრონი

მათ ბინის დაცლას მოსთხოვს, კომაში ჩავარდნილი ადამიანისთვის კი ბინის მიქირავება ბევრს არ სურს.

ჯაბას დედას იმედი აქვს, რომ მისი შვილი კარგად გახდება.

ვუსურვოთ ჯაბას გამოჯამრთელება და ფეხზე დადგომა!



საბანკო ანგარიშია GE22BR0000010381699630 ბანკი „რესპუბლიკა“
მანანა გვასალიას სახელზე.
 ჯაბა ბოჯგუას დახმარების მსურველებმა ბილანის და მაგთის აბონენტებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე 0901 700 039
 ტელ.: 599 40 00 13 მანანა გვასალია

ასკროლოგიური პროგნოზი

მმრძი – აქტიური და ენერგიული განზღებით, ოპტიმისტური განწყობა და გეუფლებათ.

კშრო – ეს პერიოდი ეკონომიკურ სტაბილურობას მოგიტანთ. თამამად შეგიძლიათ, სარგოთ ფული. ფინანსური ოპერაციები ამჯერად ძალზე სარფიანად წარიმართება.

ტშშპმპი – შექმნილი ვითარება ხელს შეუწყობს თქვენი პიროვნული თვისებების და შემოქმედებითი მონაცემების გამოვლენას. გაგინდებთ სურვილი, სიამოვნება მიანიჭოთ ყველას.

პირჩნიპი – ძალაუფლების და წინსვლის სურვილი თანამშრომლებთან სიტუაციის დაძაბვას გამოიწვევს.

ლომი – ხელსაყრელი დროა განათლების დონის ასამაღლებლად. ენთუზიაზმი და გემარებათ სამსახურებრივი პრობლემების მოგვარებასა და საქმიან პარტნიორებთან ხელშეკრულებების დადებაში.

ძალწული – აქტიური და ინტენსიური ურთიერთობები პარტნიორებთან შესამწევ პიროვნებებზე გაქცევთ. გაგინდებთ სურვილი, იპოვოთ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, თუმცა თქვენი წინსვლა დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად შეძლებთ მოწინააღმდეგეთა დამარცხებას.

სასწორი – თუ გსურთ, შეინარჩუნოთ ეკონომიკური სტაბილურობა, საჭიროა რამე პრინციპულად განსხვავებულს მოჰკიდოთ ხელი.

მორიმილი – ოჯახის წევრებსა და თანამშრომლებზე ზრუნვა მნიშვნელოვანი საქმეების კეთებისგან მოგაცდენთ. შექმნილი ვითარება ხშირად გიბიძგებთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისა და წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმისკენ.

მშვილდოსანი – თქვენს ყურადღებას მიიზიანს ოჯახური საქმეები მიიპყრობს. არამდგრადი კონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალს იპოვოთ იმ შემთხვევაში, თუ უცხოელ პარტნიორებთან შეძლებთ კავშირის დამყარებას.

თხის რძა – თქვენი ყურადღება ბევრ საქმეზე იქნება მიპყრობილი. ნუ აღებთ საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას.


მმრწყული – დროა, ოჯახური კავშირების განმტკიცებას ან პარტნიორის ძიებას შეუდგეთ. ეს პერიოდი არაჩვეულებრივია სასიყვარულო ურთიერთობებისთვის, თუმცა შეეცადეთ, პარტნიორის თავისუფლება არ შეზღუდოთ.

თმშპმპი – თქვენი სწრაფვა განახლებისკენ კონკრეტულ სახეს შეიძენს. მოგეცემათ შანსი, შეიცვალოთ ბნა, პროფესია ან სამუშაო ადგილი.

მოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი



დარჩაეთ ყველა მოზილური ოპერაბორიდან **თიბისი ბანკი**
0 901 500 540 ა/ნ GE88TB1117236080100001



გამოვიდა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ „რინს“ 2015 წლის პირველი ნომერი.

რუბრიკაში „მოყვარეს პირში უძრახე“ დაბეჭდილია ალექსეი თარიას, რეზო ჭეიშვილისა და ზაურ კალანდიას წერილები.

რუბრიკაში „პოეზია“ იხილავთ ემზარ კვიციანიშვილის, გენო კალანდიას, მურმან ხურცილავას, ქეთევან შენგელიას, პაატა შამუგიას და ჯემალ შონიას ლექსებს, ხოლო რუბრიკაში „პროზა“ თქვენ ნაიკითხავთ ლალი ბრეგვაძე-კახიანის, თორნიკე გოგინიაშვილის, ზაურ კოდუას მოთხრობებს და აპოლონ ჯინჯოლიას მინიატურებს.

რუბრიკა „ინტერვიუ“ გთავაზობთ შეხვედრას დიმიტრი ჯაიანთან.

რუბრიკაში „პოეტის არქივიდან“ იბეჭდება პოეტ ოთარ მიქაძის ესეისტური ხასიათის წერილები, „ახალ თარგმანებში“ დაბეჭდილია გაბრიელ გარსია მარკესის „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ და მთარგმნელის, ლანა კალანდიას მოსაზრებები მარკესისა და მისი შემოქმედების შესახებ.

რუბრიკაში „საგანძური“ იხილავთ ბეჟან ხორავას წერილს ილორის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის შესახებ, ხოლო რუბრიკა „წერილები“ გთავაზობთ თემურ შავლაძის, მურმან ჯგუბურიას და ნანა ქარდავას წერილებს. ჟურნალის ბოლოს განთავსებულია კულტურის ქრონიკა.